

შპს “სიტი ემ”

(საინდეტიფიკაციო კოდი 204497295)

2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი:

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგების შესახებ:

1. ზოგადი ინფორმაცია

- შპს “სიტი ემ” (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 იანვარს, რეგისტრაციის №2637/005 და მდებარეობს საქართველოში.
- იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი №4, ბ13
- ადგილსამყოფელი: საქართველო, ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის №3
- კომპანიის დირექტორი: მედე კობახიძე პ.ნ 01024032075
- საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს.
- საიდენტიფიკაციო კოდი: 204497295, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზურაბ ღიბრაძე (პ.ნ 21001005283).
- საზოგადოების ძირითად საქმიანობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს “სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით”
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.
- კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.
- კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.
- კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე

- საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ”

- საქართველოს კანონი ”ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს)

3. ოპერაციები ვალუტაში

- კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი.
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

4. სავაჭრო მოთხოვნები

- გადახდები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;
- სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“.
- დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. საწარმოო ზედნადები ხარჯები ჩამოიწერება გაანგარიშებული (გეგმიური) ხარჯების მიხედვით. ხოლო ფაქტობრივი ხარჯები აისახება ზედნადები ხარჯების სინთეზური ანგარიშის დებეტში. ფაქტობრივი ზედნადები ხარჯების გადამეტება პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ ზედნადებ ხარჯებზე წლის ბოლოს მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს.
- პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მასალების ხარჯი შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში, ხარჯვის ნორმების საფუძველზე.
- წარმოების პროცესში მიღებული ნარჩენები შემოსავალში აიღება მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით, ხოლო ნარჩენები რომელთა გადამუშავება შეუძლებელია ან/და საწარმოში არსებული ტექნოლოგიური პროცესი ვერ უზრუნველყოფს მათ გადამუშავებას, ნადგურდება დადგენილი წესით.
- პროდუქციის უსასყიდლოდ გადაცემა ჩამოიწერება ბუღალტრულად და საგადასახადო ანგარიშგებაში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით

– დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც. სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობრივი აღრიცხვა (მიღება/წარმოება/ჩამოწერა) ხდება სასაწყობო პროგრამაში (SAP) და შედეგები გადმოდის ბუღალტრულ პროგრამაში თანხობრივი გამოსახულებით. სარესტორნო პროგრამა (MICROS) სადაც ხდება შეკვეთების მიღება და გადახდების გატარება. პროგრამები დაკავშირებულია ერთმანეთთან და გაყიდვა-ჩამოწერა ხდება ავტომატურ რეჟიმში.

6. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

7. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით

8. სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმიდოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;

9. საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით და აღირიცხება უწყისებში.

– საწვავი ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

– ტექნოლოგიური დანიშნულებისათვის საწვავი შეისყიდება და განთავსდება რეზერვუარში. მისი ჩამოწერა ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯვის ოდენობით, აქტის საფუძველზე.

10. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 250 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

– მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე სხვა ხარჯებში

– სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები მიეკუთვნება მიმდინარე რემონტის ხარჯებს

11. სესხები

– სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება. სესხები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

– სესხების საპროცენტო ხარჯები აღიარდება საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

12. მოთხოვნების აღრიცხვა

– მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;

13. ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

14. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის საკუთრების უფლებების ცვლილება) მხოლოდ კომპანიის გადაწყვეტილებით ხდება.
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორობა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

15. ამონაგების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

16. მოგების აღიარება

- მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგეგმაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დამატებული ღირებულების გადასახადი

- კომპანიის მიერ გაყიდვების / მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დ.დ.გ. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

18. ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

19. მოგება-ზარალი:

- წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისათვის;

20. მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად.

ფულადი სახსრები

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ნაღდი ფული სალაროში	47890.09	28663.05
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	850783.53	651152.38
სულ ფულადი სახსრები:	898673.62	679815.43

გრძელვადიანი სესხი

დასახელება	31.12.2021 წ.	31.12.2021 წ.
საქართველოს ბანკი	21799584.42	25226352.68
დამფუძნებელი	53478432.41	59693581.11
სულ ჯამი:	75328016.83	84969933.79

სესხი მიღებულია საქ. ბანკიდან. მოხდა რესტრუქტურიზაცია და გადაფასება.

ასევე სესხი მიღებულია დამფუძნებლისგან.

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ნაშთი 31.12.22	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.21
მიწა	251 746			251 746
შენობა-ნაგებობები	38 130 217.15	64 420.51		38 065 796.64
მანქანა დანადგარები	1 452 006.02			1 452 006.02
ოფისის აღჭურვილობა	281 221.33	19 325.44		261 895.89
ავტო და სხვა ინვენტარი	202 334.99	33 958.93		168 376.06
სატრანსპორტო საშუალებები	33 208,21			33 208,21
სასტუმროს ძირითადი საშუალება	5 282 906,86	465 868,71		4 817 038,15
სულ ჯამი:	45 633 640,56	583 573,59		45 050 066,97

ცვეთა	ნაშთი 31.12.22	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.21
შენობა-ნაგებობები	2 049 330.44		685 359.27	1 363 971.17
მანქანა დანადგარები	485 647,45		125 867,59	359 779,86
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	1 939 796,10		502 746,29	1 437 049,81
სულ ჯამი:	4 474 773,99		1 313 973,15	3 160 800,84

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

"საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების მოხდენის დღეს დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით ფუნქციონალურ ვალუტაში. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაანგარიშებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის შესაბამისი სავალუტო ოფიციალური გაცვლითი კურსით. ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს:	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს:	2.7020	2,8844

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შემოსავალი

სასტუმროს ნომრებიდან და საკონფერენციო დარბაზების იჯარიდან მიღებული შემოსავალი

"საიჯარო შემოსავალის აღრიცხვა სასტუმროს ნომრებიდან ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება სავაჭრო და სხვა ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც განხორციელდა სერვისების მიწოდება და როდესაც მოსალოდნელი გახდა, რომ საფასურის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავალი სასტუმროს ნომრებიდან აღიარდება მას შემდეგ, რაც ხდება ოთახის ათვისება. აღნიშნული ეფუძნება, თუ რამდენ ღამეს დარჩება ვიზიტორი. საკონფერენციო დარბაზებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც მომხმარებელი იღებს მომსახურებას."

საკვების და სასმელის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

"საკვების და სასმელის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალის აღრიცხვა ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება ფასდაკლებები. საკვების და სასმელის რეალიზაციის დროს, რისკების გადაცემა ხდება კლიენტის მიერ პროდუქტის მიღების დროს."

სხვა სერვისები

"გაწეული სერვისებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება მოგებაში ან ზარალში იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა სერვისების გაწევა, შესაბამისი მიღებული ან მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, სავაჭრო და სხვა და ფასდაკლებების გამოკლებით."

მარაგები

"მარაგები ფასდება მის ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის მცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერირების პირობებში არსებულ გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. "

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

"ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას."

შემდგომი დანახარჯები

"ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევის თანავე აისახება მოგება-ზარალში."

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

ცვეთა

"ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მუშა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია: ავეჯი და აღჭურვილობა 3-10 წელი."

თანამშრომელთა სარგებელი

"მოკლევადიანი თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებები განისაზღვრება არა დისკონტირებული საფუძვლით და წარმოადგენს პერიოდის ხარჯს, როდესაც შესაბამისი სერვისი მიღებულია კომპანიის მიერ.

ვალდებულება აღიარებულია იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია რომ დაექვემდებარება გადახდას, მოკლევადიანი ფულადი ზონუსის, ან მოგების განაწილების ფორმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს აღნიშნული თანხა, რაც განპირობებულია წარსულში პერსონალის მიერ გაწეული მომსახურებით და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ."

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხებ ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

კაპიტალი


მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისაგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

შპს სიტი ემ-ის დირექტორი

მედეა კობახიძე



შპს "სიტი ემ" ს/კ 204497295
ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	921,893	692,625	672,637
სავაჭრო მოთხოვნები	266,020	201,292	69,550
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5,028,205	4,490,850	5,030,159
მარაგები	1,877,383	1,489,418	1,377,119
- მზა პროდუქცია			
- სხვა	1,877,383	1,489,418	1,377,119
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,157,399	1,755,996	1,580,705
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	188,834	208,775	228,717
ძირითადი საშუალებები	41,158,866	41,889,265	42,957,689
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	51,598,600	50,728,221	51,916,576
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	308,837	262,181	146,266
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	75,445,188	85,087,104	87,605,131
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	14,074,845	12,615,361	10,810,057
სულ ვალდებულებები	89,828,870	97,964,646	98,561,454
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(38,232,270)	(47,238,423)	(46,646,878)
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	(38,230,270)	(47,236,423)	(46,644,878)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	51,598,600	50,728,223	51,916,576

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021
ნეტო ამონაგები	11,336,589	2,887,811
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	11,282,967	2,462,261
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	53,622	425,550
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,308,527)	(808,006)
გაყიდვების თვითღირებულება	(3,308,527)	(808,006)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	8,028,062	2,079,805
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,990,208)	(809,894)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,333,915)	(1,329,668)
საპროცენტო შემოსავალი:	380,523	474,399
საპროცენტო ხარჯი :	(3,887,489)	(3,972,888)
ოჯარის ხარჯი	(1,525)	(4,576)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,344,739)	(1,128,949)
სულ საოპერაციო ხარჯები	(8,177,353)	(6,771,576)
საოპერაციო მოგება	(149,291)	(4,691,771)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	9,155,444	4,100,226
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	9,006,153	(591,545)
მოგების გადასახადი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	9,006,153	(591,545)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	9,006,153	(591,545)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(47,236,423)	(46,644,878)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(38,230,270)	(47,236,423)

შპს "სიტი ემ" -ის დირექტორი

მედეა კობახიძე

